

პოლიციის შესახებ დეკლარაციის  
ოქმი №690 (1979)

პრეამბულა

ასამბლეა,

1. იღებს რა მხედველობაში, რომ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სრული განხორციელებისათვის, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სხვა ნაციონალური და საერთაშორისო ინსტრუმენტებით, ადგენს, რომ აუცილებელია მშვიდობიანი საზოგადოების არსებობა, სადაც იბატონებს წესრიგი და საზოგადოებრივი სიმშვიდე.
2. იღებს რა მხედველობაში, რომ ამ მიმართებით პოლიცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველა წევრ სახელმწიფოში და რომ პოლიციას ხშირად მოუწოდებენ იმუშაოს პირობებში, საშიშში მისი თანამშრომლებისათვის, და მათი მოვალეობები უფრო მეტად რთულდება, როდესაც არასაკმარისად ნათლადაა განსაზღვრული პოლიციის თანამშრომელთა ქცევის კოდექსი;
3. თვლის რა, რომ პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევენ, ან პოლიციის ორგანოების თანამშრომლები, დათხოვილნი არაადამიანური ქცევის გამო, არ უნდა მუშაობდნენ პოლიციაში;
4. თვლის რა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემა შეიძლება გააუმჯობესოს პროფესიონალური ეთიკის ნორმებმა პოლიციისათვის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა გათვალისწინებით;
5. იმის გათვალისწინებით, რომ სასურველია პოლიციელებმა მიიღონ აქტიური მორალური და ფიზიკური მხარდაჭერა საზოგადოებისა რომელსაც ისინი ემსახურებიან;
6. იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციელებს ისეთივე სტატუსი და უფლებები უნდა ჰქონდეთ, როგორც სამოქალაქო მოსამსახურებს;
7. თვლის რა, რომ არასასურველი იქნებოდა პოლიციელებისათვის ინსტრუქციის შედგენა ომისა და საგანგებო სიტუაციაში ყოფნის დროს, ან ოკუპაციის პირობებში;
8. იღებს რა დეკლარაციას პოლიციის შესახებ, რომელიც მოცემული ოქმის შემადგენელი ნაწილია;
9. ავალებს თავის საპარლამენტო და საზოგადოებრივი კავშირების კომიტეტსა და თავის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, აგრეთვე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს უზრუნველყონ მოცემული დეკლარაციის მაქსიმალური საჯაროობა.